ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 80

ქალაქი ქუთაისი 30 იანვარი 2019 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელთა (პედაგოგთა) ხელფასის გაანგარიშების წესის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელთა (პედაგოგთა) ხელფასების გაანგარიშების წესი დანართის შესაბამისად.

(დანართი დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლი ძალაში შევიდეს 2019 წლის 1-ლი სექტემბრიდან.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №80

დადგენილების დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელთა (პედაგოგთა) ხელფასის გაანგარიშების

წ ე ს ი

მუხლი 1. ეს წესი განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელთა (პედაგოგთა) ხელფასის გაანგარიშების საკითხებს.

მუხლი 2. გაერთიანების პედაგოგთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება საათობრივი დატვირთვის შესაბამისად, შემდეგი ფორმულით C=A+BXJ, რომლის მიხედვითაც:

C არის პედაგოგთა სრული ხელფასი თვეში;

A – საბაზისო ხელფასი;

B – ერთი კვირეული საათის ღირებულება;

J – პედაგოგის მიერ კვირაში ჩატარებული საათების რაოდენობა.

მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ პედაგოგთა საბაზისო ხელფასი განისაზღვროს 112,50 ლარის ოდენობით.

მუხლი 4. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის, №1, №2, №3 და №4 სამუსიკო სკოლების, აკ.ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებლის, გ.მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლისა და გ.დარახველიძის სახელობის ხელოვნების სკოლის საგუნდო განყოფილების პედაგოგთა სასწავლო პროცესის ერთი კვირეული საათის ღირებულება უმაღლესი განათლების მქონეთათვის განისაზღვროს 17 ლარის ოდენობით.

მუხლი 5. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის, №1, №2, №3 და №4 სამუსიკო სკოლების, აკ.ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებლის, გ.მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლისა და გ.დარახველიძის სახელობის ხელოვნების სკოლის საგუნდო განყოფილების პედაგოგთა სასწავლო პროცესის ერთი კვირეული საათის ღირებულება საშუალო სპეციალური განათლების მქონეთათვის განისაზღვროს 14 ლარის ოდენობით.

მუხლი 6. გ.დარახველიძის სახელობის ხელოვნების სკოლის ქორეოგრაფიული განყოფილების პედაგოგების სასწავლო პროცესის ერთი კვირეული საათის ღირებულება განისაზღვროს 25 ლარის ოდენობით, ამასთან, გამოყენებული საათობრივი დატვირთვა არ უნდა აღემატოს 18 კვირეულ საათს.

მუხლი 7. მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგთა სასწავლო პროცესის ერთი კვირეული საათის ღირებულება განისაზღვროს 22 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. თუ პედაგოგთა მიერ ჩატარებული კვირეული საათების რაოდენობა 6 საათზე ნაკლებია, ხელფასის გაანგარიშებისას საბაზისო ხელფასი არ გაიცემა.

მუხლი 9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემადგენლობაში შემავალი ფილიალების ადმინისტრაციის თანამშრომელთა ხელფასის გაანგარიშებისას, რომლებიც პარალელურად ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას, საბაზისო ხელფასი განისაზღვროს 62.50 ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია